უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 22 0000148707

15/02/2022

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 4 თებერვლის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (ს/კ:206046045) „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „სტომატოლოგიის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: დიპლომირებული სტომატოლოგი (დეტალური სფერო 0911 - დენტალური მედიცინა).
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის №148049 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით